

## ეკოლოგიურად უსაფრთხო მეცხოველეობის პროექტი

ეკოლოგიურად უსაფრთხო მეცხოველეობის პროექტი (ELF) დაფუძნდა და განხორციელდა კომპანია “ბი-პი” (BP)-ს, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის (BTC) ნავთობსადენის და სამხრეთ კავკასიის გაზსადენის კორპორაციის (SCP) მხარდაჭერით, რომელიც გარემოსდაცვითი ინვესტირების პროგრამის (EIP) ნაწილს წარმოადგენდა.

პროექტის ძირითადი მიზანი იყო შეემცირებინა უარყოფითი ზეგავლენა ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული ტყე-პარკის ტერიტორიის ბიომრავალფეროვნებაზე ეკოლოგიურად გამართლებული მეცხოველეობის პრაქტიკული საქმიანობების დანერგვით, რომელიც ბორჯომის, ახალციხისა და ადიგენის 24 სოფელში განხორციელდება.

ქეა-ს ხედვით ფერმერული მეურნეობა საქართველოში, განვითარების საწყის ეტაპზე მყოფი საბაზრო ეკონომიკის ნაწილია. ამიტომაც, ფერმერები გულისყურით მოეკიდნენ იდეებს, ტრენინგებსა და დემონსტრაციებს, რომელთა გამოყენებაც მათ საშუალებას აძლევს დაიცვან გარემო (სადაც თავად და თავიანთი შვილები ცხოვრობენ) უარყოფითი ზეგავლენისგან და გაიუმჯობესონ ეკონომიკური მდგომარეობა.

### რას აკეთებდა ეკოლოგიურად უსაფრთხო მეცხოველეობის პროექტი (ELF):

- პროექტის ფარგლებში, ფერმერს ეძლევა არჩევანის საშუალება დრო და ენერჯია მოახმაროს ახალი ტექნოლოგიების შესახებ ცოდნის მიღებას და ამ ცოდნის პრაქტიკაში საკუთარი ხარჯებით დანერგვას, რაც ხელს შეუწყობს ეროვნული პარკის ბიომრავალფეროვნებაზე უარყოფითი ზეგავლენის შემცირებას და შემოსავლების ზრდას გრძელვადიან პერსპექტივაში. პროექტი მნიშვნელოვან ძალისხმევას გასწევს სატრენინგო მასალებისა და დემონსტრაციების ორგანიზებისათვის ამ სფეროში არსებული სწავლების წარმატებული პრაქტიკის გათვალისწინებით.
- გაცვლითი ვიზიტების ორგანიზება როგორც ადგილობრივ, ისე ეროვნულ დონეზე, რათა ფერმერთა ჯგუფებს საშუალება მიეცეთ დაკვირვება მოახდინონ ეკოლოგიურად გამართლებული მეცხოველეობის პრაქტიკის დანერგვის პროცესზე, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს პიროვნული კავშირების დამყარებას, ცოდნისა და გამოცდილების გაზიარებას.
- ფერმერთა შორის ცნობიერების ამაღლება ეროვნული პარკისა და მიმდებარე ზონის ეკოსისტემაზე ადამიანის ჭარბი აქტიურობის უარყოფითი ზეგავლენის შესახებ.

- საფუძვლიანი ეკონომიკური ანალიზის საფუძველზე თითოეული ფერმერისთვის შესაბამისი ტექნოლოგიებისა და მოდელების შერჩევა.
- ფერმერებისათვის ინფორმაციის, ცოდნისა და გამოცდილების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა პრაქტიკული დემონსტრაციებით, ფორმალური და არაფორმალური ტრენინგებით, ნაბეჭდი მასალებითა და სხვა საშუალებებით;
- ფერმერული მეურნეობის დონეზე ხორცისა და რძის წარმოებაში შემოსავლების ზრდის განმსაზღვრელი ტექნოლოგიური შესაძლებლობების მოძიება და დემონსტრირება;
- ფერმერული მეურნეობის ქვე-სექტორის განვითარებაზე ზეგავლენის მქონე კავშირების დამყარების ხელშეწყობა;
- ფერმერებსა და ადგილობრივ დონეზე მოქმედ მიკრო-საფინანსო ინსტიტუტებს შორის მჭიდრო კავშირების დამყარება. (ფონდი კონსტანტა და ჭორლდ Vision-ის საკრედიტო პროგრამა)

**პროექტის მიზანი:** შემცირდეს უარყოფითი ზეგავლენა ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული ტყე-პარკის ტერიტორიის ბიომრავალფეროვნებაზე ეკოლოგიურად გამართლებული მეცხოველეობის პრაქტიკული საქმიანობების დანერგვით, რომელიც ბორჯომის, ახალციხისა და ადიგენის 24 სოფელში განხორციელდება.

ბენეფიციარები: 2,580 ფერმერი (ქალი და მამაკაცი)

რეგიონები: ბორჯომი, ახალციხე და ადიგენი

ბიუჯეტი: \$ 400, 000

დონორები: BP/BTC/SCP

ეს გვერდი მომზადდა კომპანია “BP”-სა და მისი პარტნიორების ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენისა და სამხრეთ კავკასიური მილსადენის კომპანიების ფინანსური ხელშეწყობით. სტატიაში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ორგანიზაცია ქეას და არ არის “BP”-ს, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენისა და სამხრეთ კავკასიური მილსადენის კომპანიების ოფიციალური შეხედულებების ამსახველი.